

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

(სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა)

05.12. 2016 წელი

ქალაქ ფოთი
სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნიკოლოზ გრიგოლია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან ჩოჩია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის წევრი);
3. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
4. ზურაბ ჯამბურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი).

კომისიის აპარატის წევრი:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი მაია სულავა, შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ამირან კაკულია;

დღის წესრიგი:

1. სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, სატენდერო განცხადების ნიმუშის, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

განიხილეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 1 დეკემბრის დავალების (რეზოლუცია) შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების საკითხი;

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით;
2. დამტკიცდეს სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების ნიმუში თანახმად დანართი 1,2-ისა;
3. სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 152524 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით, ბიჯი განისაზღვროს 1525 ლარის ოდენობით.

4. სატენდერო კომისიის აპარატმა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე



ნიკოლოზ გრიგოლია

კომისიის წევრები:



ლევან ჩოჩია



ვასილ თოდუა



ზურაბ ჯამბურია